

“ოჯახში ძალადობა, მისი გამოწვევები, მიზეზები და პრევენციის
განმახორციელებელი საკანონმდებლო რეგულაციები”



ანნა ბუცხრიკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ანნა ბუცხრიკიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი მარინა მესხი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანნა ბუცხრიკიძე

31 მაისი, 2021

სარჩევი

შესავალი	1
თავი 1. ოჯახში ძალადობის არსი	4
1.1 ოჯახში ძალადობის ცნება	4
1.2 ოჯახში ძალადობის გამომწვევი ფაქტორები	8
1.2.1 ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ყოფნის ფაქტორები	8
1.2.2 მოძალადედ ყოფნის ფაქტორები	9
1.3 ოჯახში ძალადობის ფორმები	12
1.3.1 ფიზიკური ძალადობა	12
1.3.2 ფსიქოლოგიური	13
1.3.3 ეკონომიკური	13
1.3.4 სექსუალური	14
1.3.5 იძულება	15
1.3.6 უგულვებელყოფა	15
თავი 2. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება	17
2.1 შემაკავებელი ორდერი	20
2.2 დამცავი ორდერი	22
2.3 ელექტრონული ზედამხედველობა	23
2.4 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტზე	24
2.5 სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ოჯახში ძალადობის დანაშაულთა მიმართ	25
2.5.1 სასჯელი ოჯახში ძალადობის დანაშაულის მიმართ	28
თავი 3. ოჯახში ძალადობის პრევენცია	29

3.1 სკოლის ასაკის ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობის შესახებ	31
3.2 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ცნობიერების ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება	32
3.3 მოძალადის ქმედებების სარეაბილიტაციო მექანიზმების ჩატარების უზრუნველყოფა	33
3.4 სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლების გადამზადება	35
თავი 4. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემური ფაქტორები.....	38
თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია.....	40
დასკვნა	41
ბიბლიოგრაფია	43

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეძღვნება ოჯახში ძალადობას, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სამართლებრივ რეგულირებას და რეგულირების პრობლემატიკას. ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი გავრცელებული ძალადობის სახეა, რომლის აღმოფხვრაც ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია, ოჯახში ძალადობა და არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობის პრევენციის გაძლიერებას, ასევე საუბარია იმაზე თუ რა საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო და რამდენად მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება ოჯახში ძალადობის პრევენციის გასაძლიერებლად. ნაშრომის მიზანია: საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენციის გაძლიერება.

მოცემული თემა აქტუალურია მთელს მსოფლიოში, საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს აღკვეთოს ოჯახში ძალადობა და მოახდინოს მისი პრევენცია, რისთვისაც ქმნის და იყენებს სხვადასხვა საერთაშორისო აქტს. აღნიშნული პრობლემა ოჯახში ძალადობის არსებობის კუთხით. საქართველოშიც მწვავედ დგას, მართალია არსებობს რიგი საკანონმდებლო რეგულაციები, ოჯახში ძალადობის პრევენციის გაძლიერების კუთხით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, სწორედ ამიტომ ნაშრომში განხილულია, რიგი ცვლილებების განხორციელების, საკანონმდებლო რეგულაციების ჩამოყალიბების, კანონის დახვეწის და სხვადასხვა ღონისძიებების გატარების საჭიროება, საკითხზე მუშაობისას მიმოხილული და გაანალიზებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული კანონმდებლობა, მიმოხილულია სხვადასხვა სახის კვლევა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით და სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილება.

ვფიქრობ, მოცემული სამაგისტრო ნაშრომი დაეხმარება, საზოგადოებასა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, ოჯახში ძალადობის პრობლემის არსის უკეთ გაანალიზებაში.

საძიებო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, პრევენცია, სასჯელი, ცნობიერება.

Abstract

This paperwork is dedicated to domestic violence, the elimination of domestic violence, the legal regulation of prevention and the problems of regulation. Domestic violence is one of the most common forms of violence, the elimination of which should be a priority for all states. This paper discusses domestic violence and existing legislation that helps strengthen the prevention of domestic violence. The paper also discusses what legislative changes are needed and how important it is to take a few measures to strengthen the prevention of domestic violence. The aim of the paper is to strengthen the prevention of domestic violence in Georgia.

This topic is relevant all over the world, the international community is trying to prevent and prevent domestic violence, for which it creates and uses various international acts. This problem is related to the existence of domestic violence. In Georgia, there are several legislative regulations to strengthen the prevention of domestic violence, but it is not enough, which is why the paper discusses the need for a few changes, legislation, law refinement and various measures. Legislation at the international level reviews various types of research on domestic violence and various court decisions.

I think this master's thesis will help the public and those interested in this issue to better analyze the essence of the problem of domestic violence.

Search words: domestic violence, prevention, punishment, awareness.